№ 137
ოთხშაბათი, 29 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 137
ოთხშაბათი, 29 ივნისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 ივლისს.**

**ჩემს ახლად დაარსებულ**

## ღვინის სარდაფში

(გოლოვინის პროსპექტი და კრუზენშტერნის ქუჩა, სახლი დობრჟანსკისა № 1 დ 18)

ისყიდება ნამდვილი კახური ჩემისავე საკუთარის ვენახების ღვინოები, სოფ. ყვარლისა და რუისპირიდგან ჩამოტანილი. დავაარსე იმ აზრით, რომ როგორც ადგილობრივ, ისე კავკასიის გარეშეც გატანილ იქმნას და გავრცელდეს ნამდვილი, შეურეველი კახური ღვინო. ღვინო ისყიდება ნარდადაც და წვრილ-წვრილადაც.

ბოთლი ღვინო ჰღირს 15 კაპ. 60 კაპიკამდე, ვედრო თერთმეტ აბაზიდგან რვა მანეთამდე.

თავ. გიორგი მელქისედექის ძე ჭავჭავაძე
(6—1324—5)

## ლ ე ქ ს ე ბ ი

თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.
(10—1420—2)

## „ივერიის“ რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ამასთან ვაცნობებთ ხელისმომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთ მანეთი, ხოლო სხვა ყოველი ადრესის შეცვლისათვის-კი — ორი აბაზი.

სამუსიკო კრუჟოკი
(საზაფხულო სადგომი ბაღით)
ხუთშაბათს, 30 ივნისს
ქართულის თეატრის არტისტი-ქალი
**ვ. ს. ნეზიერიძისა**
გამართავს წარმოდგენას ქ͠ნ ავალიშვილის და ბ.ბ. აბაშიძის და ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა

I

ვაის გავეყარე ჲ ვუის შევეყარე
კომ. 3 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიასი

II

მეხუთე მოქმედება დრამიდამ

**სამშობლო**

მოთამაშენი: ქ.ქ. ავალიშვილისა, ნებიერიძისა, ტარიელოვისა; ბ.ბ. აბაშიძე, ალექსი-მესხიშვილი, ცაგარელი, გუნია, ადამიძე და სხ.

ანტრაკტებში დაუკრავს სამხედრო მუსიკა
ადგილების ფასი 60 კაპეიკიდგან 2 მანეთამდე
დასაწყისი 9 საათზედ

მიხეილის ქუჩაზედ, გიორგი ქართველიშვილის სახლში, № 24, პირველ ივლისიდგან **ქირით იძლევა** სარდაფი, სწორედ ის, სადაც ეხლა ასლან თუნიევი ვაჭრობს.

ფასის შეტყობა შეიძლება თითონ ქართველიშვილთან მიხეილის ქუჩა, სახლ. №-180. (3—1413—3)

### ეპისტოლე

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისა

მოწყალე ხელმწიფენო, სენატორნო და დეპუტატნო! მოწოდებულ ვარ რა საერო კრებულის მიერ ჩვენის ქვეყნის უუმაღლეს თანამდებობის აღსასრულებლად, მე ვეკუთვნი არა რომელსამე დასს, არამედ მთელს საფრანგეთსა და რესპუბლიკას. საზიზღარმა დანაშაულმა, უარ-ყოფილმა ერის სინიდისის მიერ, სამშობლოს წაართვა მოუსყიდველი მამულიშვილი, რომელიც შვიდის წლის განმავლობაში დაუცხრომლად იცავდა ჩვენთა დაწესებულებათა. დღე ხსოვნა ამა გმირისა დიდხანს იყო ჩემი შთამგონებელი და ხელმძღვანელი, სიმძიმე პასუხის-მგებლობისა მეტად დიდია და ამიტომ ვერ გავბედავ ლაპარაკს ჩემის მადლობის შესახებ, მაგრამ დიდად მხურვალედ მიყვარს ჩემი სამშობლო და ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ ასეთ არჩევანს შემდეგ დღეს ბედნიერადა ვგრძნობდე ჩემს თავს. ვიპოვნომცა ჩემს გონებასა და გულში ძალა, რომელიც მჭირია საფრანგეთის ღირსეულ სამსახურისათვის. საერო კრების დადგენილებამ,—რომლის ძალითაც რამდენისამე საათის განმავლობაში უფლება ერთის ხელიდგან მეორეში გადავიდა,—ქვეყნის თვალში კვლავ განანათლა, აკურთხა სარესპუბლიკო დაწესებულებანი. პარიზმა, რომლითაც სულდგმულობს სარესპუბლიკო დაწესებულებანი, გუშინ-წინ საოცრად დაგვიმტკიცა თვისი პატივის-ცემა და მადლობა. ის ქვეყანა, რომელმაც ამ განსაცდელში ამდენი ზნეობრივი ღონე და საპოლიტიკო ჰასაკოვანება გამოაჩინა, შეიძლებს ჲ შეაერთებს ორსავე სოციალურს ძალას, ურომლებოდაც ერნი იღუპებიან,—თავისუფლებასა და მთავრობას, რომელიც დაუდგრომლად ზნეობის განავითარებს, რაც ასე საჭიროა რესპუბლიკის დემოკრატიისათვის. მტკიცე განზრახვა მაქვს შვიდის წლის შემდეგ საფრანგეთის ბედ-იღბალი სხვას გადავცე, ხოლო ვიდრე მე მაქვს რწმუნებული, პატივსა ვცემ რა ერის სურვილსა და აღსავსე ვარ რა პასუხის მგებლობის გრძნობით, ჩემს მოვალეობად ვსთვლი არ უარ-ვყო ის უფლებანი, რომელიც კონსტიტუციამ გადმომცა. აქვს რა თავისის თავის იმედი და ნდობა თვისის ჯარისა და ფლოტისა, საფრანგეთი, რომელიც ყოველის მთავრობისა და ერისაგან ეღირსა ერთხმად თანაგრძნობას, შეიძლებს თავი ამაყად აღმართოს და განაცხადოს თვისი სიყვარული მშვიდობიანობის მიმართ. ღირსია რა თავისის სახელისა, იგი დაშთება იმავე გონებრივის სინათლისა და პროგრესის კერადენატი და პარლამენტი შეიძლებენ. ჯეროვანი პასუხი გასცენ სურვილს ერისას, იღონებენ ყოველსავე ღონისძიებას, რაც-კი კეთილად იმოქმედებს საფრანგეთისათვის, განავითარებს იმის მიწად-მოქმედებას, მრეწველობასა და ვაჭრობას და უფრო განამტკიცებს საზოგადოებრივს ნდობას. პარლამენტი შეიძლებს და დაამტკიცებს, რომ რესპუბლიკა პატივ-მოყვარეობით-კი არ არის გატაცებული, არამედ იგი მოწადინებულია ქონებრივსა და ზნეობრივს კეთილდღეობას. იგია გამავრცელებელი კეთილ-მომქმედ აზრებისა და კეთილშობილ გულისთქმათა, იგია მთავრობა, რომელიც თანაუგრძნობს დაუმსახურებელს ტანჯვა-წვალებასა და რომელსაც პატიოსნება ავალებს, რომ არ მოატყუოს ისინი, რომელთაც მარტო იმედით არ უნდა ანუგეშებდეს. იგი ემსახურება იმ აზრთ, რომელიც შთააგონა გულმა საფრანგეთისამ თავისს წარმომადგენელთ, რომ განამზადოს თვისი დღესასწაული. შევაერთოთ ჩვენი ძალ-ღონე და მხნეობა! წარსულმა გამოცდილება მოგვცა, მაგრამ საფრანგეთს მერმისაკენ უჭირავს თვალი. საზოგადოებრივ წესრიგისა და სოციალურ მშვიდობიანობის უზრუნველ-ყოფა ის არის, რომ შევიგნოთ დროს მოთხოვნილება, გვრწამდეს პროგრესსი და ამ პროგრესს ვიყვნეთ მოწადინებულნი“.

ამ ეპისტოლეს შესახებ სხვა-და-სხვა დასის გაზეთებმა უკვე დაიწყეს სჯა და ბასი. ზომიერ და კონსერვატორ დასთა გაზეთები ამბობენ, რომ პერიეს სიტყვებმა ჩვენი იმედი განამართლაო, რადიკალი გაზეთებიკი იმ აზრისანი არიან, რომ ტყუილად არ გამოვსთქვით ჩვენი შიშიო. ზომიერი გაზეთები სიამოვნებით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ კაზიმირ პერიეს უნდა სავსებით ისარგებლოს თავისის უფლებანით და ამითი განამტკიცოს ძალა და მნიშვნელობა მთავრობისაო. ყველა გაზეთს საერთოდ მოსწონს პერიეს ის ნათქვამი, რომ შვიდის წლის შემ-

## ფელეტონი

***

დაწყნარდი, გულო, ნუღარ ჰღელავ,
გაქვავ-გაკლდევდი,
ნუ თუ ვერ მიხვდი, რომ დღემდისაც
ოცნებას სდევდი?!
რაც გწყუროდა, გიყვარს, რაც გიყვარდა,
ის შეაჩვენე...
დაწყნარდი, გმარა, მოისვენე, მეც მომასვენე!..
ვისაც ეტრფოდი, მანცა დაგგმო, სხვას
განაცვალა,
მეგობრობამაც არ დაგინდო, გასვა სამსალა,
ვერც ერთი გრძნობა გულში ტკბილი ვერ
ჩაისვენე...
რაღასა ჰშფოთავ, მოისვენე, მეც მომასვენე!..
გულ-ქვავის ხალხის თანაგრძნობას ვერ
ეღირსები,
სულით უბოლით ვერავის ვერ შეეთვისები;
სიამაწვილისა მწარე დღენი სჯობს გაიხსენე
და ნუღარ სჩქროლავ, მოისვენე, მეც მომასვენე!..
ქვეყანა ცრუა, მოღალატე, დაუნდობელი,
არც შენ გაგიტანს, განერიდე, აიღე ხელი,
გწყურდეს და გშვდეს, მხოლოდ თეთრი
კბილი უჩვენე
და მორჩი ტკივილს!.. მოისვენე, მეც
მომასვენე!..
ოცნება განქრა, იმედიც-კი არ გასულდგმულებს,
შავი მიწა-ღა მოგცემს ნუგეშს და გიერთგულებს,
ბინა, სავანე საუკუნო იქ ააშენე...
დაწყნარდი, გმარა, მოისვენე, მეც მომასვენე!..

კენტი

### იდილია

(გიუ დე-მოპასანისა)

მატარებელი ის ის იყო ჟენევიდგან გამოვიდა. მიეშურებოდა მარსელისკენ და მიიკლაკნებოდა მიხვეულ-მოხვეულ გრძელ ქვიან ნაპირებზედ, მისრიალებდა რკინის გველივით ზღვასა და მთებს შუა, მიცოცავდა ყვითელის ქვიშით მოფენილსა და წვრილ-წვრილის ზვირთების ვერცხლის ფერ ძაფით გარშემოხვეულს ჰკლებზედ, შედიოდა გვირაბების საშიშრად დაღებულს პირში, როგორც მხეცი, რომელიც თავისს სოროში ძვრება.

სულ უკანასკნელს ვაგონში ერთი ერთმანერთის პირდაპირ ისხდნენ მსხვილი დედაკაცი და ახალგაზდა კაცი. ისინი ჩუმად იყვნენ და მხოლოდ ხანდახან თვალს გარდაავლებდნენ ერთმანეთს. ქალი შესახედავად ოც-და-ხუთის წლისას ჰგავდა. იჯდა ფანჯარასთან და უყურებდა მინდორველს. ჯეელი პიემონტელი გლეხის ქალი იყო შავის თვალებით, უზარმაზარის მკერდით, ხორციანის ლოყებით. გ მოეტენა თავისის ყუთებით, რაც-კი ცარიელი ადგილი იყო სკამის ქვეშ, და მუხლებზედ ერთი კალათი-ღა ედგა.

ყმაწვილი კაცი იქნებოდა ოცის წლისა. ერთობ გამხდარი იყო და იმ მზისაგან დამწვარის შავი სახის პატრონი, რომელიც აქვთ ხოლმე მუდამ მზეზე მყოფ ყანის მუშებს. იმის გვერდით ცხვირსახოცში მოთავსებული იყო მთელი იმისი ავლადიდება: ერთი წყვილი წაღა, პერანგი და სერთუკი. სკამს ქვეშ იმასაც რაღაც შეედვა ეს იყო ერთად ბაწრით შეკრული ბარი და ნიჩაბი. მიდიოდა საფრანგეთში, რომ სამუშაო ეშოვნა რამე.

მზეს, რომელიც იწევდა თანდათან მაღლა ცეცხლივით გაეღაპლაპებინა ზღვის ნაპირები; მაისი იღეოდა და ჰაერი მთლად გაჟღენთილიყო სხვა-და-სხვა საუცხოვო ნაზის სურნელოვანებით, რომელიც შემოდიოდა ვაგონებში გაღებულ ფანჯრებიდან. ფორთოხალისა და ლიმონის ხეები უგზავნიდა მშვიდობიანს, დაწყნარებულს ცას თავისს ტკბილს, ძლიერს და ნაზს სუნელოვანებას და უერთებდა ირგვლივ მოდებულს ვარდების სულთქმას, რომლითაც მოფენილი იყო ყველაფერი: გზის პირი, მდიდრული ბაღები, გლეხთა ეზოები და მინდვრები. თითქო სახლში არიან აქ, ეს ვარდები! მთელი მხარე სავსეა იმათის ნაზისა და ძლიერის სურნელოვანებით, ჰაერი ღვინოზედ უფრო სუნნელოვანია და უფრო დამატკბობელი სანუკვარი.

მატარებელი, თითქოს დაბნედილი და ღონე გამოლეული ამ ბუნების ფუფუნებით, ზლაზნით ნელა მიდიოდა სუნნელების აღმომფშვინავ მინდვრებზედ. წამდაუწუმ ჩერდებოდა სადგურებზედ, რამდენსამე თეთრ პატარა სახლების წინ, შემდეგ ისევ დაუსტვენდა, დაიძვრებოდა და გაუდგებოდა გზას წყნარის სიარულით. ვაგონებში აღარავინ ჯდებოდა. უთუოდ მთელს ქვეყანას სთვლემდა და ვეღარავინ ჰბედავდა ადგილიდგან ფეხის დაძვრას ამ გაზაფხულის ცხელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ აღარ ვიკისრებ რესპუბლიკის პრეზიდენტობასაო. „Figaro“-ს მთლად მოსწონს ამ ეპისტოლეს შინაარსი. „Gaulois“-ი ამბობს, რომ ეს ეპისტოლე თავ-მდებია მთავრობის კლერიკალებთან მორიგებისა. „Soleil“-ი სწერს, რომ პერიეს ეპისტოლე ძალიან ჰგავს პროგრამმას მისის პაპისას, რომელიც ლუი-ფილიპპეს მინისტრად იყოო; „კარნო წარმოადგენდა რესპუბლიკას, პერიე მისი მმართველი იქნებაო“. „Journal des Dèbats“-ი იმ აზრისაა, რომ უფლება პრეზიდენტისა საქმით ძალიან შეზღუდული იყო და იმედია, რომ პერიე სავსებით ისარგებლებს ყოველის თავისის უფლებითაო. „Radicai“-ი ამბობს, რომ თუ პერიემ დიდი სიფიცხე და მონაწილეობა გამოიჩინა პრეზიდენტობის დროს, შეიძლება ვადამდე გადაყენებულ იქმნასო. „Petite République“-ი არწმუნებს თავის მკითხველებს, რომ ამიერიდგან ელისეს სასახლეს თავისი საკუთარი პოლიტიკა ექმნება და დეპუტატებისა, არა თუ მარტო უფლება, მოვალეობაც არის განაბჭონ ეს პოლიტიკაო.

# დეპეშა

27 ივნისი

**პარიზი.** უკვე დაადგინეს საფუძველნი ანარხისტთა დანაშაულის წინააღმდეგ კანონ-პროექტისა. ვინც საანარხისტო შინაარსის სიტყვას წარმოსთქვამს და ხალხს წააქეზებს საანარქისტო მოქმედებისათვის, სამართალში იქმნება მიცემული.

# ახალი ამბავი

— ** საერო განათლების სამინისტროში განხილულ იქმნა ის საგანი, შეუძლიანთ თუ არა რეალურ სასწავლებლის მეოთხე კლასში სწავლა დამთავრებულ მოწაფეთ, რომელნიც ლათინურ ენის ეგზამენსაც დაიჭერენ, აფთიაქის მოწაფის წოდება მიიღონ. ამ საგნის შესახებ საერო განათლების დეპარტამენტმა განმარტა, რომ რაკი მოწაფეთ რეალური სასწავლებლის 4 კლასი, რომელიც თანაბარია კლასიკური გიმნაზიის 4 კლასისა, ექმნებათ დამთავრებული, შეუძლიანთ მიიღონ წოდება აფთიაქის მოწაფისა, მხოლოდ ლათინურის ენის ეგზამენს თუ დაიჭირესო.

** სასჯულო საქმეთა მინისტრის ბრძანებით განჯის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ნადვორ. სოვეტ. კრასოვსკი დანიშნული იქმნა ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგად.

** 26 ივნისს, საღამოს, სოლოლაკის ზემოდ კლდეზედ ერთი საზიზღარი ამბავი მოხდა. ოთხი კაცი ერთ ამ კლდეზედ მოსეირნე გიმნაზიის მოსწავლე-ქალს დაუხვდნენ თურმე, მაგრად შეჰკრეს და ასე შეკრული წაიყვანეს მოშორებით, მიყრუებულს ალაგას და ნამუსი აჰხადეს. ბოროტ-მომქმედნი მაშინვე გაქცეულან. საბრალო ქალი დიდის ხნის ყვირილის შემდეგ უპოვნიათ და მშობლებთან მიუყვანიათ.

** მოგვივიდა „ხალხური ზღაპრები“ დავით გივიშვილისა, შარაძის სტამბაში დაბეჭდილი. 20 წელიწადია მას შემდეგ, რაც დავით გივიშვილი წიგნებს ჰბეჭდავს, ეხლა ამას დაუწყია ხალხში ძველებურის ამბების კრებვა, გალექსვა და ბეჭდვა. ამ წიგნშიაც რამდენიმე არაკია დაბეჭდილი. ჰღირს სამი შაური.

** გურია. ორად-ორი საშუალება ჩვენის ცხოვრებისა სიმინდი და არაყის ხდა იყო, მაგრამ ახლა ორივეს ფასი ისე დაეცა, რომ არც ერთს ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. გურიაში არაყს აღარავინა ხდის, თითქმის ვისაც გამოსახადი ქვაბი ჰქონდათ, მჭედლებს მიჰყიდეს. სიმინდში ხომ რამდენიმე მაღაზია უნდა მოიაროს გლეხმა, რომ ნახევარ ფასი მაინც აიღოს.

** გაზ. „Нов. Обоз.“ სწერს, რომ როგორც შევიტყეთ ტფილისის საბჭოს ზოგიერთნი ხმოსანნი აპირებენ თავი დაანებონ ხმოსნობას და უარი სთქვან, თუ საბჭოს თავმჯდომარე ისევე მოეკიდება საბჭოს წევრთ, როგორც ეხლა ეკიდებაო. ეს ხმოსნები ოპოზიციას არ ეკუთვნიანო, დასძენს გაზეთი.

** განჯის მაზრის უფროსი პოლკ. ვაკსელი გადაყვანილ იქმნა ყაზახის განყოფილების მომრიგებელ-შუამავლად ზოლოტნიცკის მოადგილედ, რომელიც დანიშნულია არეშის მაზრის უფროსად, ამ მაზრის უფროსის სიკვდილის გამო. ვაკსელის მოადგილედ დანიშნულ იქმნა ყაზახის მაზრის უფროსი ყანჩელი, რომლის მოადგილედ დანიშნულია შუშის მაზრის უფროსი ბარანოვსკი და შუშის მაზრის უფროსად-კი ინიშნება თავ. აბხაზი, რომელიც დიდხანს იყო თიონეთის და ბორჩალოს მაზრების უფროსად („Тиф. Лист.“-ი).

** „Нов. Об.“-ეს გაუგონია, რომ ამ შემოდგომაზე ტფილისში ჩამოვა სასჯულო მინისტრის ამხანაგი სამიჯნო განყოფილებისა ბ. გარემიჩკინი. მინისტრის ამხანაგის აქ ჩამოსვლის ის ჰქონია საგნად, რომ ტფილისის სამოსამართლო პალატაში დაარსდეს მე-4 დეპარტამენტი, განსაკუთრებით სამიჯნო განყოფილებისა, რომელშიაც იქნება ხუთი წევრი და ერთიც თავმჯდომარე. ეს გარემოება გამოუწვევია სამიჯნო საქმეების მეტის-მეტს გამრავლებას. $^2/_3$ მთელის ჩვენის ქვეყნისა უკვე გამიჯნულია და ამ გამიჯვნას ჯერ კიდევ ვერ მიუღია კანონიერი სახე, რადგანაც ურიცხვი დავა არის სამზღვრებზედ აღძრული.

** იმავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის დროებით სამხედრო სამსაჯულოს, 25 ივნისს, ქუთაისში გულჟამამისათვის, ბოლქვაძისათვის, ანდრია და ოტია გიგინეიშვილებისათვის, რომელთაც ჰბრალდებოდათ რკინის გზის მატარებლის გასაძარცვავად თავს დასხმა ნიგოითის სადგურზე, დარჩობა გარდაუწყვეტია; კონდუქტორი კომახიძე-კი დანაშაულად ვერ უცვნია და გაუმართლებია. საქმის გარჩევა ექვს დღეს ყოფილა.

** 27 ივნისს, სიონის ქუჩაზედ, სარაჯოვის სახლში, უეცრად გარდაიცვალა მიხეილ გერასიმეს ძე ფულინოვი, 50 წლისა.

** 26 ივნისს შეითან-ბაზარში სისაკამირზოევი წაეჩხუბა ივანე ყურაშვილსა და ალი-ალაჰპერ-ოღლის და ორივენი დანით დასჭრა. დაშავებულს სწამლობენ, დამნაშავე შეიპყრეს.

** 27 ივნისს მთაწმიდის ხევში შეიპყრეს საეჭვო კაცნი, კაცხის მცხოვრებელი ივანე მოდებაძე და სოფ. ხსოვას მცხოვრებელი დავით შარავიძე, რომელნიც 26 ამ თვისას ჯარის კაცს ლევანდსკის შეუცვივდნენ სახლში ამოღებულის ხანჯალით გასაქურდავად.

** ამავე დღეს სიონის ქუჩაზედ დერციკს ისაკ დერბიზაშვილს მაღაზია გაუტეხეს და 107 მანეთის ნივთეული გაიტანეს. ამ საქმეში დამნაშავე ალექსანდრე ბასიკოვი სადღაც მიიმალა.

** 27 ივნისს პურის მოედანზედ უეცრად გარდაიცვალა ანტონ პავლეს ძე პავლოვი.

** ამავე დღეს არსენალის ქუჩაზე მცხოვრებმა ინჟენერმა ნიკოლოზ ისაევმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ცოლ-შვილით კოჯორში წავედი და სახლის ყურის მგდებლად ჩემი მოსამსახურე ილია (გვარი არა სცოდნია) დავტოვე, ამ კაცს ჩემის სადგურიდგანვე 187 მან. ოქრო-ვერცხლი მოუპარავს და გაპარულაო. დამნაშავეს დაეძებენ.

# დამაკვირდი

სიმდიდრესა და ფუფუნებას მხოლოდ ის სარგებლობა მოაქვს, რომ საქმეს აძლევს სიღარიბეს, მაგრამ სიმდიდრე და ფუფუნება რომ არა ყოფილიყო, არც სიღარიბე იქნებოდა.

ჟ. ჟ. რუსსო

**

დაკონკილ ტანთ-საცმლიდგან სულ უწვრილმანესი ადამიანის ნაკლიც-კი სჩანს; მდიდრული სამოსელი და ქურქი-კი უკვდავერსა ჰფარავს. თვით ბიწიერებას ოქრო ჩააცვით და მართლ-მსაჯულების დასჭარიც-კი ვერაფერს დააკლებს; კონკები დაჰხურეთ და ჩალის ერთი ღერიც განგმირავს.

შექსპირი

**

ღარიბის სახლის მცველი და მფარველი ნაკლებულობაა.

არაბ. ანდაზა

## ბულბული და გუგული

(გერმანული თქმულება)

ვირს ჯავრი სჭირდა ბულბულისა დაშურის ძიებას შეუდგა. მივიდა გუგულთანა და უთხრა: შენ გალობაში გამოითხოვე ბულბული, მსაჯულად მე ამომირჩიე და პირველ მგალობლად შენ გაღიარებო.

გუგულმა უპასუხა: როგორ გამოვითხოვო ბულბული გალობაში, როდესაც ერთი „უფალო შეგვიწყალეს“ მეტი არა ვიცირაო.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, მე დამიჯერე და საქმე ჩინებულად გათავდებაო, უთხრა ვირმა.

გაბრიყვდა გუგული და გამოითხოვა ბულბული გალობაში.

ბულბული თავმდაბალი ფრინველია, თავაზიანი, ხშირი გალობა ძლიერ უყვარს და დასთანხმდა. დასთანხმდა იმასაც, რომ გასჯიბრებოდა გუგულს გალობაში და იმასაც, რომ მსაჯულად, გალობის დამფასებლად ყოფილიყო მარტო დიდყურა ბრძენი.

შეიკრიბნენ დანიშნულს ადგილას მოჯიბრენი და კარგა ხანი უცადეს ვირს. ბოლოს ესეც დიდკაცურად მობრძანდა და ანიშნა დაიწყეთო.

ბულბულმა მორთო თავისი გალობა, ათასნაირი ხმა ჩაარაკრაკა და ყველა იქ მყოფს სულდგმულს სამოთხის ნეტარება აგრძნობინა.

შემდეგ გუგულმა გააბა თავისი „უფალო შეგვიწყალე“, ასჯერ ზედიზედ მიაყარა და ისე უხეიროდ სთქვა, რომ არც ერთს ხრინწიანს მედავითნეს არ უგალობნია ასე უშნოდ.

ვირმა ბრძნულად ჩაქინდრა თავი და პტყელ-პტყელად წარმოსთქვა: „ბულბულმა“ უფალო, შეგვიწყალე“ ვერც ერთხელ ვერ მოახერხა, გუგულმა-კი საუცხოვოდ იგალობა ასჯერ. აღმიარებია და გამომიცხადებია პირველ მგალობლად გუგულიო, და თან „ურა“ ისეთის მაღალის ხმით დაიყროყინა, რომ ყველა მსმენელს ყურები დააცობინა.

„გაუმარჯოს ვირის მოწონებულსა“, დასძახეს აქეთ-იქითგან ხარხარით ყველა იქ დამსწრეთა და ამ დღიდგან გუგულს დაერქვა „ვირის მოწონებული“...

ი. სიმ—ძე

# კორესპონდენცია

**მცხეთა.** 16 თიბათვე. შემთხვევით მომიხდა ყოფნა მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში სწორედ იმ დროს, როდესაც იქაურ დედათა სკოლის სასწავლებელში ბავშვების გამოცდა უნდა მომხდარიყო სწავლაში. მოელოდნენ ეგზარხოსისაგან დანიშნულთ, რომელნიც უნდა დასწრებოდნენ ბავშვების გამოცდას. მართლაც მეორე დღეს ესე იგი 13-ს ივნისს, შუადღის მატარებლით მოვიდნენ ქალაქიდამ ინსპექტორი სემინარიისა და მამა შოშიაშვილი.

---

დილას.

სქელი დედაკაცი დრო გამოშვებით დახუჭავდა ხოლმე თვალებს, შემდეგ ერთბაშად გაახელდა, როცა კალათი გაუსხლტებოდა ხელიდგან, და ძირს ჩამოვარდნას ჰლამოდა. იჭყრდა კალათას ჩქარის მოძრაობით, ცოტახანს აქეთ-იქით ცქერას დაიწყებდა და შემდეგ ისევ ჩასთვლემდა. შუბლზედ ცვარ-ცვარად ოფლი ასხამდა და ისე მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ყელზე აწვება რამეო.

ყმაწვილს კაცს თავი ჩაეღუნა და ეძინა სოფლელის მაგარის ძილით.

უეცრად, როცა მატარებელი ერთის პატარა სადგურიდგან გამოვიდა, გლეხის ქალი სრულიად გამოფხიზლდა, გაალო კალათი, ამოიღო ზორბა პურის ნაჭერი, მაგრად მოხარშული კვერცხები, ერთი ბოთლი ღვინო და რამდენიმე საუცხოვო წითელი ქლიავი და დაიწყო ჭამა.

გლეხსაც გაეღვიძა და დაუწყო ქალს ყურება. ადევნებდა თვალს ყოველს ლუკმას, რომელიც მუხლებიდან დედაკაცის პირში მიდიოდა, და იჯდა ისე უძრავად გულხელ-დაკრეფილი, მაგრად მოკუმულის ტუჩებით, ჩაცვივნულის ლოყებითა და დაშტერებულის თვალებით.

ქალი სჭამდა ხარბად, გაუმაძღარად, ისე, როგორც სჭამენ ხოლმე მსუქანი ადამიანები, წამ-და-უწუმ ჰყლაპავდა ღვინოს და მხოლოდ ერთის წამით შეჩერდებოდა, რომ ცოტა სული მოეთქვა.

მალე ყველაფერი გაქრა: პური, კვერცხები, ქლიავი, ღვინო. გადაყლაპა თუ არა ქალმა უკანასკნელი ლუკმა, ვაჟმა მაშინვე ისევ დახუჭა თვალი. ამ დროს, რადგანაც დედაკაცს ცოტა არ იყოს მუცელი წამოებერა, კაბის ზედა ტანი შეიშვა და გლეხმა ისევ დაუწყო ყურება.

დედაკაცი სრულიად მოურიდებლად იხსნიდა ღილებს ერთი-მეორეზედ; მძიმე ძუძუები თანდათან იწევდა წინ და ბოლოს ორად გაყოფილს ზედა ტანის პირებ შუა გამოჩნდა თეთრეულის ნაჭერი და ცოტაოდენი სხეულის ნაწილიც.

ბოლოს, როცა რამდენადმე მოსულიერდა, გლეხის ქალმა იტალიანურად წარმოსთქვა:

— რა პაპანაქებაა, თქვენი ჭირიმეთ! სულის მოსათქმელი აღარ არის!

ყმაწვილმა კაცმა იმავ ენაზედ და იმავე გამოთქმით უპასუხა:

— სწორედ საუცხოო დროა მგზავრობისათვის!

ქალმა ჰკითხა:

— თქვენ პიემონტიდგანა ხართ?

— ასტიდგანა ვარ.

— მე-კი კაზალიდგან.

აღმოჩნდა, რომ მეზობლები იყვნენ, და იმათ შორის გაიმართა საუბარი. ისინი ლაპარაკობდნენ უბრალო საგნების გამო, რომლის შესახებაც სჯის ხოლმე სოფლის ხალხი და აკმაყოფილებს ხოლმე მცონარ და ვიწრო გონებას. საუბარი შეეხებოდა იმათს მხარეს. ისინი იგონებდნენ თავიანთ საერთო ნაცნობებს და ამ საუბარში თანდათან იბადებოდა მათ შორის მეგობრული განწყობილება.

წამ-და-უწუმ ისმოდა იტალიანურად სწრაფად წარმოთქმული, ცოცხალი, მუსიკასავით ტკბილი მოსასმენი სიტყვები. ბოლოს ერთმანეთსაც გამოჰკითხეს ვინაობა.

აღმოჩნდა, რომ ქალი ქმრიანი იყო. უკვე სამი შვილი ჰყავდა, რომელნიც თავის დასთან უნდა დაეტოვებინა, რადგანაც თითონ საუცხოო ძიძის ადგილი ეშოვნა მარსელში ერთის ფრანგის ქალის ოჯახში. ვაჟი სამუშაოზედ მიდიოდა. იმას უთხრეს, რომ მარსელში დიდძალს სახლებს აშენებენ და იქ საქმე იშოვებაო.

სიცხე თანდათან აუტანელი ხდებოდა. ვაგონების სახურავი შანთივით გახურებულიყო. მტვერის ღრუბელი მისდევდა უკან მატარებელს და შედიოდა შიგ ღია კარებიდგან; ლიმონის ხეებისა და ვარდების სურნელოვანება თანდათან უფრო ძლიერდებოდა, სქელდებოდა, თითქოს მძიმდებაო.

მგზავრებს ისევ ჩაეძინათ.

იმათ თითქმის ერთსა და იმავე დროს გაალეს თვალები. მზე გადახრილიყო ზღვისაკენ და მოეფინა თავის სხივების შადრევნით იმისი ზეთივით უძრავი ლურჯი ზედა-პირი. ჰაერი უფრო გაქორფავდა, გამსუბუქდა.

ძიძას, თუმცა გახსნილი ჰქონდა კაბის ზედა-ტანი, მაინც სიცხისაგან სული ვერ მოებრუნებინა, ლოყები ჩამოჰშვებოდა, თვალები ამღვრეოდა და სრულიად დაქანცულის ხმით წარმოსთქვა:

— გუშინდელს აქეთ ძუძუ არ მომიწოვებია და ეხლა მთლად გარეტებული ვარ, ასე მგონია გულზედ უნდა მომადგეს-მეთქი.

ყმაწვილმა კაცმა არა უპასუხა-რა, რადგან არ იცოდა რა უნდა ეთქვა.

ქალმა განაგრძო:

— იმდენი რძე მაქვს, რომ თუ სამჯერ მაინც არ მოვაწოვე ძუძუ ბავშვსა, ცუდს გუნებაზედ ვხდები ხოლმე. თითქოს რაღაც ქვა მაწვება გულზედ, ისეთი მძიმე, რომ სულის მოთქმას მიჭირვებს და ყოველს სახ-

წინადაც ვიცოდი ამ სკოლის არსებობა, მაგრამ როგორც ყოველთვის ქართველის კაცის ჩვეულობაა, ყველას ახალ საქმეს ეჭვის თვალით უყურებდეს, ისე მეც, თუმცა აგერ რამდენიმე ხანია ეს სკოლა არსებობს, მაინც ვფიქრობდი ჩემს გულში: „არა იქმნებარა კარგი მეთქი“ მაგრამ 13 და 14 თიბათვეს ბავშვების გამოცდამ-კი, არამც თუ აზრი შემაცვლევინა, არამედ აღტაცებაში მომიყვანა სწორედ: წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც დაუგდე ყური ბავშვების გამოცდას, მთელი ორი დღე ისე მეგონა, ვიმყოფები არა მცხეთის სამი-ოთხის წლის დაარსებულ ღარიბ სკოლაში, არამედ ერთს გამართულს, დიდის ხნის გამოცდილს და რიგზედ დაყენებულს სასწავლებელში მეთქი. საკვირველი უფრო ის იყო, რომ მთელს სკოლაში სულ იმყოფება 48 მოწაფე, რომელნიც სულ ქართველები არიან და რუსული ისე მშვენიერად აქვთ შეთვისებული და შეგნებული, რომ არ უჭირდებათ თავისუფლად გარდმოცემა, არამც თუ რუსულის მოთხრობისა და საღვთო წერილისა, არამედ იმისთანა რთული საგნებისაც-კი, როგორიც არის ჩვენის ბავშვისთვის ისტორია და გეოგრაფია. ნუ იფიქრებთ, რომ, როგორც ზოგიერთ სასწავლებელშია ხოლმე, თუთიყუშივით გარდმოგცენ რამე ერთხელ გაზეპირებული წიგნიდამ; როგორც გინდოდათ გადაგებრუნებინათ კითხვა, და სადაც უნდა შეგეწყვიტათ ბავშვებისათვის ლაპარაკი, ისევ განაგრძობდნენ რიგიანად. ეტყობოდათ, რომ ნამდვილად ჰქონდათ შეგნებული რასაც ამბობდნენ. თვით წევრნი კომისიისა ეტყობოდათ, მეტად ნასიამოვნები დარჩნენ ამ გამოცდით და ბ-ნმა ინსპექტორმა რამდენჯერმე გადუხადა დედა იღუმენია ნინოს და იქაურ მასწავლებელ ქალებს მადლობა. 14-ს საღამოს, როდესაც მორჩნენ ბავშვების გამოცდას საღამოს მატარებლით წევრნი კომისიისა, დიდად კმაყოფილნი და ნასიამოვნი, დიდის მადლობით გამოეთხოვნენ იქაურ სასწავლებელს და წავიდნენ ტფილისს. მართლაც რომ მადლობის ღირსნი არიან დედა იღუმენია ნინო და მასთან მასწავლებელნი ქალნი, რომელთაც ითავეს და ისრე მშვენიერად აწარმოეს აქაურის სკოლის საქმე.

ახლა იკითხავთ, რა შეძლება აქვს სკოლას, და რითი აწარმოებენ საქმეს? თითქმის არაფერი. ერთად ერთი სალსარი ამ სკოლისა არის დაუღალავი შრომა იღუმენია ნინოსი. სხვათა შორის, ამ ოთხი-ხუთის წლის წინად იღუმენია ნინომ ითავა და თითქმის მთელი რუსეთი შემოიარა, თან ახლდნენ მცხეთისავე მონაზონი და მცხეთის სკოლის მასწავლებელი ქალი ს. ც. და შეაგროვა წვალებით ცოტაოდენი ფული. აი ეს არის თანხა ამ სასწავლებლისა. წარმოიდგინეთ, რამდენს გაჭირებასაც გამოივლიდნენ ამ სიარულის დროს, მაგრამ წრევანდელი ამ შრომის დაფასება ბავშვების მიერ დარწმუნებული ვარ დაავიწყებთ, არამც თუ წარსულს გაჭირებას, არამედ ეხლანდელ სიღარიბესაცა და გაჭირებასაც. ამ მხრივ კი, როგორც ეტყობა, ძრიელ უჭირს სკოლას. სხვათა შორის ბავშვების ხელ-საქმეც იყო წარმოდგენილი, რომლის ნახვამაც დაგვიმტკიცა, რომ მართლაც ამ სკოლას საგნად ის-კი არა აქვს რომ, მარტო წერა კითხვა ასწავლოს ბავშვებს, არამედ შეასწავლოს იმისთანა რამ, რაც შემდეგ ცხოვრებაშიაც გამოადგებათ. სხვათა შორის წარმოდგენილი იქმნა 12—13 წლის ქალებისაგან შეკერილი თავსაკრავები, მუთაქის პირები და სხვა ძველებური ჩვენი ხელ-საქმე. მაგრამ ეტყობოდათ-კი, რომ სიღარიბის გამო მასალა ცოტა ჰქონიათ, რის გამო რიცხვი ხელ-საქმისა არ იყო იმდენი, რამდენიც სანატრელია, რომ ყოფილიყო. ბავშვების ხელ-საქმითაც დიდად კმაყოფილნი დარჩნენ წევრნი კომისიისა და კიდეც დასძინა მამა ინსპექტორმა სემინარიისამ, რომ საგნების შესწავლასთან ეგეც აუცილებელი საჭიროა ქალებისათვის ცხოვრებაშიო. გამახსენდა აქ წრევანდელი განკარგულება ტფილისის თავად-აზნაურობის ბანკის კრებისა, რომ წრეულობით არ მიეცეს შემწეობა ამ სკოლას უფულობისა გამო. ჩემის აზრით, ეს დიდად სამწუხაროა, რადგან აუცილებლივ სკოლას ეხლავე უჭირს და ღირს იც არის, რომ ყოველივე ღონე ვიხმაროთ მის წარმატებისათვის, მით უფრო რომ, როგორც დავრწმუნდი, აქ სწავლობს მომეტებული ნაწილი ღარიბ თავად-აზნაურთა შვილებისა: თქვენ შეხვდებით აქ გვარებს მაჩაბლისას, ციციშვილისას, თაქთაქიშვილისას და ბევრს სხვას. სასურველი და სანატრელია, რომ საიდანმე რაიმე ღონეს ვიღონებდეთ და წრეულობით ცოტას რასმეს მოვუხერხებდეთ და მივაწოდებდეთ ამ მართლა რომ ჩვენში სამაგალითო სკოლას.

დასასრულ არ შემიძლიან კერძოდ ჩემის მხრივ არ გადვუხადო მადლობა პირველად დედა იღუმენია ნინოს და მერმე იმ ოთხ მასწავლებელ ქალს, რომელნიც სულ ქართველები არიან (კნიაჟნა ს. ციციშვილისა, კნიაჟნა ე. ჯორჯაძისა, ა. კოლიაშვილისა და ქ. მიქელაშვილისა). ამ უკანასკნელს დაუსრულებია ტფილისის დედათა ინსტიტუტი, ასე რომ მსურველს შეძლება ეძლევა ფრანგულიც ისწავლოს; არ შემიძლიან მადლობა არ გადავუხადო იმ დედა-შვილურის დამოკიდებულობისთვის, რომელიც მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის არსებობს. ყველას ზედ ეტყობათ, აქ არიან შეყრილნი არა გაჭირვებით და ფულის გულისთვის, (თითო მასწავლებელი ქალის ჯამაგირი არის 15 მ., მხოლოდ ერთი იღებს ამ ოთხში 20 მანეთს), არამედ ნამდვილად არიან გამსჭვალულნი სამშობლოს სიყვარულით და ცდილობენ ჩაუნერგონ ბავშვებს ღვთის სიყვარული და ყოველი ცოდნა, რაც-კი საჭიროა ცხოვრებაში. ზედ ეტყობა ყველას, რომ ნამდვილად შეჰყვარებიათ თავიანთი პაწაწა მოწაფეები და ყველა მათი გაჭირვება აწუხებთ, ხოლო სიხარულს აღტაცებაში მოჰყავთ. ღმერთმა ჰქმნას, რომ ყველა ჩვენს ქართველს ქალს მიებაძნოს მათთვის და ესე შეეგნოთ თავიანთი დანიშნულება. გვიჭირს ამნაირი ქალები! ვურჩევ ყველა ჩვენს ქალს, ვისაც-კი უნდა ნამდვილი შრომა განაცხადოს, არ დაიზაროს დ თავის თვალით ჰნახოს ის, რასაც აქა ვწერ. ბევრი დარწმუნდება მაშინ, რომ არ ითქმის არც ჩვენზედ, ვითომ ჩვენ ნამდვილი უანგარო შრომის მოყვარე ქალი არა გვყავს. ვერ აუხვევ ვერც იმას გვერდს, რომ არა ვსთქვა-რა იმის შესახებ, თუ რა სიამოვნებით მოვისმინე კვირა დღეს წირვაზედ პაწაწა ქალების გალობა, რომელიც შეუსწავლებია მათთვის ადგილობრივ მღვდელს.

დამსწრე

---

## როგორ უნდა გავარჩიოთ აჯასპი შაბიამანისაგან?

(ჩვენთა მემამულეთა საყურადღებოდ)

აი რა ადვილად შეიძლება განარჩიოს კაცმა შაბიამანი აჯასპისაგან:

| აჯასპი | შაბიამანი |
|---|---|
| 1) გარეგანის შეხედულობით ღია მწვანე ფერისაა და ზოგი კვნიწი მოყვითალო მტვრით არის დაფენილი. | 1) გარეგანის შეხედულობით ღია ლურჯის ფერისაა, კვნიწები ერთი ორად უფრო მსხვილი იცის და ზოგი დაფენილია მოთეთრო მტვრით. |
| 2) დანაყილი აჯასპი მომწვანო ყვითელი ფერისაა. | 2) დანაყილი შაბიამანი ლურჯის ფერისაა. |
| 3) წყალში შაბიამანზედ ერთი ორად უფრო ადვილად იხსნება (1:2) და წყალს მოყვითალო ფრად ჰღებავს. | 3) წყალში ძნელად იხსნება (1:4) და წყალს მოლურჯო ფრად ჰღებავს. |
| 4) ჩვენ რომ ყოველდღე ჩაის ვსვამთ, იმ ჩაისა აიღეთ ცოტაოდენი და შიგ ჩააგდეთ აჯასპის კვნიწი, ჩაი იმ წამსვე შავ მელნად გადაიქცევა (დაანჯღრიეთ-კი). | 4) შაბიამანის კვნიწი-კი ჩაიში რომ ჩააგდოთ, ჩაი მხოლოდ ლურჯად აიმღვრევა. |

ყველა აქ ჩამოთვლილი ნიშნების შედარება, ჩემის აზრით, სრულიად საკმაოა, რომ კაცმა მწვანე აჯასპი ლურჯ შაბიამანისაგან გაარჩიოს.

ტფილისში აჯასპი ოთხ აბაზად ან მანეთად ჰფასობს და შაბიამანი-კი ხუთ-ექვს მანეთად ჰღირს.

მაშ იმედია, ვისაც-კი გული შესტკივა დაარიგებს გლეხობას და აღარ მიაცემინებს მანეთიან საქონელში 4 ან 5 მანეთს; აჯასპი დიდ ზარალს მოუტანს ავადმყოფ ვაზს და, მაშასადამე, გლეხ-კაცი ორნაირად დაიღუპება.

აჯასპს ზოგნი ზაჯ უძახიან და ეს-კი ერთი და იგივეა.

პროვიზორი ილ. ალხაზიშვილი

---

## რუსეთი

—

მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა-რა სუნნელოვან და სამკურნალო მცენარეთა მოყვანის გავრცელება, გაჰგზავნა საზღვარ-გარეთ დირექტორი ნიკიტის ბაღისა ა. ი. ბაზაროვი, რათა მას შეესწავლა და გამოეკვლია როგორც შემოსავალი ამ მრეწველობისა, ისე ხელი ამ მცენარეთა გავრცელებისა. ბაზაროვის მიერ სამინისტროში წარდგენილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მრეწველობის შემოსავლის ერთს უმთავრესს წყაროთაგანს სამხრეთ-აღმოსავლეთის საფრანგეთისას შეადგენს სუნნელოვან მცენარეთა მოყვანა. საფრანგეთს მისდევს იტალია, სადაც მხოლოდ მესინაში დიდძალს სხვა-და-სხვა ეთერის ზეთს აკეთებენ. ბულგარია ყოველ-წლივ ჰგზავნის აქეთ-იქით 150 ფუთს ვარდის ზეთს, რომლის ფუთი 500 მან. ღირს; ინგლისი აკეთებს პიტნის ზეთს 400 ფუთამდე წელიწადში; გერმანია ჰგზავნის საერთაშორისო ბაზრებზედ ძალიან მრავლად სუნნელოვან მცენარეთა გამონახადს. თუ რამდენად სასარგებლოა გაშენება სუნნელოვან და სამკურნალო მცენარეებისა, სჩანს ბაზაროვის ანგარიშიდგან, რომელიც იუწყება, რომ საფრანგეთში ერთი დესეტინა მიწა ვარდით დარგული, იძლევა წმინდა შემოსავალს 700 მ., რეზედა 1547 მ., ტუბერზი 3000 მ. და იასამანი 3135მ., გარდა იმ მცენარეთა, რომლითაც უპირველესს წამლებს აკეთებენ. რუსეთში ჯერ მხოლოდ ანისული და ყაყაჩო მოჰყავთ მრავლად; მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყანა იმდენად სხვა-და-სხვა თვისებისაა ჰაერითაცა და მდებარეობითაც, რომ შეიძლება ყველა ნაირი მცენარე გამრავლდეს აქ, არა თუ მარტო შინ სახმარად, საზღვარგარეთ გასატანათაც. ამ გარემოებათა გამო მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახეში აქვს ძვირფას მცენარეთა მრავლად გაშენება, ამ ჟამად ნიკიტის ბაღში აღნიშნულია დიდრონი პლანტაციები ვარდის და სხვა სუნნელოვან მცენარეთა გასაშენებლად. გარდა ამისა, მომავალის წლისათვის გამოსცდიან ამავე მცენარეთა მოყვანას და ეთერის ზეთების გამოხდას რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში.

---

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ლოთობის წამლობა. გაზ. „Врачъ“-ის მე-22 ნომერში ა. ნ. იუწყება ჭიპჩოტიურის შთაგონებით შემწეობით ლოთობის მორჩენას ამბავს: 6 წლ. განმავლობაში უსპენსკის ჰყოლია 30 ავადმყოფი, 28—კაცი და 2—დედაკაცი.

ამათ შორის მორჩენილან ამ სენისაგან 2 დედაკაცი და 14 კაცი, მაგრამ 3 კაცს ისევ დაუწყიათ სმა (2 ერთი

---

სარს ღონეს ართმევს. სწორედ უბედურებაა, როცა ამდენი რძე აქვს ადამიანს.

ყმაწვილმა კაცმა უპასუხა.

— დიახ, უბედურებაა. ეგ უთუოდ ძლიერ უნდა გაწუხებდეთ.

მართლაც ქალი ძალიან ცუდს მდგომარეობაში იყო. ღონე მიხდილს, დატანჯულს ავადმყოფსა ჰგავდა. მან წაიჩურჩულა.

— საკმაოა ოდნად დააჭიროთ ზემოდგან, რომ რძე შადრევანივით გარდმოსკდეს. სწორედ საოცარი სანახავია, ძნელად დასაჯერებელი. კაზალში სუყველა მეზობლები მოდიოდნენ ამ სასწაულის სანახავად.

— რას ამბობთ, მართლა?

— მართლა. მაგას დიდის სიამოვნებით გიჩვენებდით, რომ ღირდეს. ძნელად თუ ვისმე ამდენი რძე ჰქონდესო, და ქალი გაჩუმდა.

მატარებელი სადგურთან შესდგა. ვიღაც დედა-კაცს მოაჯირთან გაჩერებულს, მტირალი ბავშვი ეჭირა ხელში. საბრალო დიდად გამხდარი იყო და ძონძებში გამოხვეულიყო.

ძიძამ შეხედა ბავშს და თანაგრძნობის კილოთი წარმოსთქვა:

— ახ, ამ პაწიას რომ გავაძღობდე... ისიც შეღავათს მომცემდა. უთუოდ მდიდარი არა ვარ, რა-კი დავაგდე სახლი, ოჯახი, ბალღები და სხვის მოჯამაგირედ მივდივარ, მაგრა ვგონებ ხუთი ფრანკიც არ დავიშურო იმის გულისათვის, რომ მაგ ბავშს მხოლოდ ათს წამს მოვაწოვებდე. ეგ ორთავეს დაგვაწყნარებდა. მე სწორედ გავ'ცოცხლდებოდი მაშინ.

დედა-კაცი ისევ გაჩუმდა. შემდეგ გადაისვა ხელი გახურებულ შუბლზე, რომლიდგანაც წურწურით ჩამოსდიოდა ოფლი და ოხვრით წარმოსთქვა.

— მეტი აღარ შემიძლია, სწორედ მოვკვდები, ისე ვარ...... და ანგარიშმიუცემელ მოძრაობით სულ ერთიანად გაიხსნა თავისი კაბა.

უშველებელი მარჯვენა ძუძუ, რძით გატენილი, წაბლის ფერის თავით გამოჩნდა გარეთ. საბრალო დედა-კაცი კი სულ წუწუნებდა:

— ოჰ, ღმერთო, ღმერთო! რა მეშველება ნეტა?

მატარებელი ისევ დაიძრა და ცოტა ხანს უკან მიჰქროდა ათას გვარ ყვავილებს შორის, რომელიც ამ გრილს საღამოს ჟამს ირგვლივ რაღაც ცხარე, თავ-ბრუ- დამხვევ სურნელოვანებას ავრცელებდა. მეთევზეთა ნავები, თითქოს სძინავთო ცისფერ ზღვაზედ, უძრავის თეთრის იალქნებით იხატებოდა წყლის სარკეში პირ ქვე დამხობილი.

ახალგაზდა კაცმა რაღაც კრძალვით, არევით წაიბუტბუტა:

— მე, სინიორა, მე შევიძლებდი... თქვენს..... თქვენს..... დახმარებას.

დედა-კაცმა მთლად დაქანცულის ხმით უპასუხა:

— თუ ღმერთი გწამდეთ, ინებეთ, მაგით დიდს სამსახურს გამიწევთ. მეტი მოთმინება აღარა მაქვს, აღარ შემიძლიან.

ყმაწვილმა კაცმა დაიჩოქა იმის წინ, დედა-კაცი დაიხარა და ჩვეულის მოძრაობით მიუტანა პირთან ძუძუს მოშავო თავი. როდესაც იმან ორივე ხელებით დაიჭირა ძუძუ, მისს წვერზედ თეთრი რძის წვეთი გამოჩნდა. ყმაწვილმა კაცმა წამსვე დალია და მისდვა რა ტუჩები ძუძუს თავს, დაუწყო ხარბად წოვა.

ქალს წელზე ხელები მოჰხვია, თავისკენ მოიზიდა, რომ უფრო ახლოს ჰყოლოდა, და სწოვდა ნელნელა, თანაც დრო-გამოშვებით კისერს აქანებდა, როგორც პაწია ბავშვებმა იციან ხოლმე.

ცოტა ხანს შემდეგ ქალმა უთხრა;

— ეყოფა; ახლა მეორე.

ყმაწვილი კაციც დაემორჩილა და დაუწყო მეორეს წოვა. ქალმა ორივე ხელები ჭაბუკს ზურგზედ დაადო; სიამოვნებისაგან გაღიმებულის სახით, ის ეხლა თავისუფლად ითქვამდა სულს. ვაგონების ფანჯრებში შემოდიოდა სხვა-და-სხვა სურნელოვანებით სავსე ჰაერი.

ქალმა სთქვა:

— რა საუცხოვო სუნია აქ.

ყმაწვილმა კაცმა არა უპასუხა-რა. ის, თვალებ დახუჭული მიჰკვროდა ამ ცოცხალ წყაროს და სვამდა სულდაუღებლად. ბოლოს ქალმა წყნარად მოიშორა და უთხრა:

— ახლა-კი კმარა. უკეთა ვარ; თითქოს ხელ-მეორედ დავიბადე.

ყმაწვილი კაცი წამოდგა და ხელის ზურგით ტუჩი მოიხოცა.

დედაკაცმა ჩაიწყო თავისი ცოცხალი ჭიჭილები უბეში, რის გამოც იმისი მკერდი კიდევ უფრო გაიგუდა და მიუბრუნდა ყმაწვილ კაცს:

— დაუფასებელი სამსახური გამიწიეთ და დიდი მადლობელი ვარ თქვენი, სინიორ.

ყმაწვილმა კაცმა მადლიერების კილოთი მიუგო:

— რასა ბრძანებთ? პირ-აქეთ, მე უნდა გმადლობდეთ, სინიორა, ორი დღეა უჭმელი გახლავარ.

დიმ. ერისთავი

წლის შემდეგ და 1 სამის წლის შემდეგ.) 5 ავადმყოფი ვერ მორჩენილა, დანარჩენ 6 ავადმყოფს წამლობის დროს დაუტოვებია სმა და შემდეგ-კი იმათი აღარა გაუგიარა თვით უსპენსკისა. რომელთაც ხელმეორედ დაიწყეს ლოთობა, ამათში 2 შთამომავლობით ჰქონდა დაუღლილი ეს სენი, მესამე-კი 26 წლის ლოთობის შემდეგ დაიწყო წამლობა. გცან ეს საშუალება და აი რა დასკვნას დავადექით, ამბობს უსპენსკი:

1) რამდენადაც უფრო ყმაწვილია ავადმყოფი და რამდენადაც უფრო მცირე ხანს უსვამს, იმდენად ადვილია მისი მორჩენა.

2) განათლებულის კაცის მორჩენა ამ სენისაგან უფრო ადვილია.

3) ის ავადმყოფი, რომელიც თითონვე ჰგრძნობს ლოთობის ვნებას და ვერ დაუნებებია-კი თავი, „მინდა-კი თავი დავანებო, მაგრამ ღონე არ შემწევსო“, უეჭველად მორჩება, და თუ ავადმყოფი არცა ჰგრძნობს ლოთობის მავნებლობას, არც სურვილი აქვს თავის დანებებისა და მხოლოდ შინაურების რჩევით სწამლობს თავს, არ მორჩება.

4) ლოთობისაგან განკურნებისათვის 1—3 თვემდე არის საჭირო წამლობა. ამ ვადის რაოდენობა იმაზედ არის დამოკიდებული, თუ ავადმყოფის ბუნება რამდენად ემორჩილება ჰიპნოტიურს შთაგონებას.

5) ის ავადმყოფი, რომელსაც შთამომავლობით აქვს დაყოლილი ლოთობა, ძალიან ძნელად მორჩება. ხოლო რადგან ამისთანა ავადმყოფი 5 მყავდა და ხუთივენი აგერ 1—4 წელიწადია რაც აღარა სმენ, ამიტომ ამისთანა შემთხვევაშიაც საჭიროა წამლობა.

6) უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი პირველისავე საშუალების ხმარების შემდეგ ანებებდა თავს ლოთობას, მაგრამ მე მაინც განვაგრძობდი ხოლმე წამლობას, მხოლოდ თანდათან უფრო მეტის ხანგამოშვებით ვწამლობდი. ავადმყოფის პიროვნულ თვისებაზედ იყო დამოკიდებული რამდენჯერ და რამდენად ხშირად უნდა დამენიშნა წამლობა, შემდეგ შთაგონებითის წამლობისა, 1—2 თვეს კიდევ წელით ვწამლობდი, რომ ავადმყოფს მარლვები გაჰმაგრებოდა და ხასიათის სიმტკიცე მისცემოდაო.

## წერილები რედაქციის მიმართ

I

თქვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი წერილი კახეთიდამ, რომ თელავის ვაჭრები საზოგადოდ შაბიამანს მაგიერათ ჰყიდიან ყანგაროს (железный купоросъ) ეს დიდ ზარალს აძლევს ვენახებს და ბოლოს უქადის კიდეც აოხრებასაო. ამ თავის მოსაზრებას ავტორი აფუძნებს იმ გარემოებაზედ, რომ ტფილისში 5 მან. 10 კაპ. ჰყიდულობენ ამ საქონელს და თელავში მოტანილს, მიუხედავათ გადმოტანის ხარჯისა, ჰყიდიან 4 მან. და 4 კაპ. თუ სიყალბე არ არის, აქ შეუძლებელი საქმეა ასე იაფად გაყიდვაო, რადგანაც არც ერთი ვაჭარი არ მოინდომებს თავის-თავის დაღუპვასა და ზარალით ყიდვასაო. იმაზედ უნდა მოვახსენო ბ-ნს კორესპონდენტს, რომ ეს მოსაზრება ავტორისა მართალი არ არის და აი რათა: 1, მე თითონ ვაჭარი ვარ და თვალი მიჭირავს, ვინ როგორ ჰყიდის ამ საქონელს და ვიცი, რომ არც ერთს თელავის მოვაჭრეს, არც ერთს გლეხ-კაცისთვის არ მიუყიდნია 4 მან. და 4 კაპ. თუ ეს მართალი არ არის, გამოაცხადოს კორესპონდენტმა სახელი და გვარი იმ ვაჭრისა, რომელმაც ამ ფასად გაჰყიდა! 2) მე თითონ ვყიდი 5 მან. იმაზედ ნაკლებ, როგორც იყიდება ტფილისში. შეუძლიან მობრძანდეს და ჰნახოს, რომ ის ნამდვილი შაბიამანია ე. ი. (железный купоросъ) და არა ყანგარო. თუ ინებებთ, რედაქციაში მოგართმევთ. 3, საქმე იმაშია, რომ ტფილისში მაქვს ნაყიდი არა 5 მან. 10 კაპ. არამედ 4 მან. 50 კაპ. და ამიტომ ვყიდი 5 მან. მოგებით. რა არის მიზეზი ამისა? მიზეზი ის არის, რომ ერთი ვაჭარი იძულებული იყო გაეუქმებინა თავისი ვაჭრობა და სხვა დარჩენილ საქონელთან ერთად მოუშორებინა თავიდამ ნაკლებ ფასად და გაენაღდებინა შაბიამანიცა. რატომ მოსათვიქრი არ არის, რომ მარტო მე არ ვიყიდდი და სხვაც ბევრი იყიდდა იმ ვაჭრისგან ამ საქონელს ნაკლებ ფასად. გარდა ამისა, მაქვს კიდევ ეს საქონელი ას ფუთამდის, რომელიც მიზის 5 მანეთზედ მეტად, მაგრამ რადგანაც დღევანდლამდის მთხოვნელი არავინ არის, იძულებული ვიქნები, კვლავ ამ დრომდის გადაყრას, ან თავნზედ გავყიდო, ან არადა უფრო ნაკლებ, ოღონდაც თავიდგან მოვიშორო. ვაჭრობის საქმე ესეა: დიდ ზარალს ცოტა ზარალს ვამჯობინებთ ხოლმე. ვინ იქნება თავდები, რომ კვლავ მაინც მეტ ფასად გაიყიდება, ვიდრე ეხლა?!. წელსაც მოთხოვნილება ცოტა იყო, ვიდრე შარშან, რადგანაც გამოდმა მხარშა შარშან ნაწამლი და უწამლი თითქმის ერთნაირად გამოვიდა; ჩვენის გლეხ-კაცისთვის ესეც საკმაოდ კარგი საბუთი იყო, რომ წელს არ მოეთხოვა წამლობა. 4, მე მიმიყიდნია 30 კაცისათვის მაინც, შაბ-იამანი; მათ რიცხვში არიან იმისთანანი, რომლნიც უბრალოდ არ იკადრებენ ტყუილს ჩვენებას და, თუ რომელსამე იმათგანს ჩემგან მიყიდულ შაბიამანის წყალობით დაუზარალდა ვენახი, ვთხოვ გამოაცხადოს გაზეთის საშუალებით და მეც ჩემს თავს მოვალეთ შევრაცხავ დავუბრუნო თავისი ფული, რაც ჩემთვის მოუცია შაბიამანში. დასასრულ ვსთხოვ კორესპონდენტს მობძანდეს ჩემს მაღაზიაში და ინახულოს, ნამდვილი შაბიამანია თუ ყანგარო და აგრეთვე სხვა მაღაზიებიდგანაც მოიტანინებ და გასინჯოს, რომელია იმათ შორის შაბ-ამანი და რომელია ყანგარო.

ი. იმერლიშვილი

P. S. ამასთანავე გთხოვთ იკითხოთ დახურულს ბაზარში ბ-ნი მიხეილ შარბობაჩევი და ჰკითხოთ, ჰყიდის მართლა შაბიამანს 4 მან. და 50 კაპეიკად თუ არა.

ი. ი.

II

უმორჩილესად გთხოვთ მასლობელსავე № ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში, ჩემს მცირედს შენიშვნას.

„ივერიის“ № 129-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია ს. მეჯვრისხევიდგან, რომელშიაც ბ-ნი ა. მეჯუღელი აცნობებს, რომ წრეულს უსანეთობას „საშინელი ქურდობა და მარცვა-გლეჯა იყოო, რომ ოსები თავისუფლად ნავარდობდნენ და ძალით ართმევდნენ კაცს რასაც მოასწრობდნენო“. ამ მხრივ კორესპონდენცია მოკლებულია სიმართლეს: არავითარი წრეს გადასული უწესოება არა მომხდარა-რა; იყო დიდი ლოთობა და ბევრი მთვრალი ხალხი დაიარებოდა ერში, მაგრამ მარცვა-გლეჯა და ტაციობა არავის გაუბედნია, რადგან საკმაო პოლიციის ძალა, ადგილობრივი მამასახლისის მეთაურობით, ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს.

მრავალი ქურდობა მოხდაო, ამბობს ა. მეჯუღელი და ასახელებს: თულაშვილს მოჰპარეს ხარები, ი. ლოლაძეს ხარები, კობახიძეს ცხენი.

რათ გიკვირთ ბატონო კორესპონდენტო? ქურდობა ხდება ყველგან, განათლებულს ქვეყნებშიაც-კი, სადაც პოლიციას უფრო გადაჭარბებით აქვს მალა, მაგრამ განა ღირსება დაეკარგებოდა თქვენს წერილს, რომ ერთად ამ ქურდების გამოცხადებასთან ისიც გეთქვათ, რომ თულაშვილის ხარები იმავე ღამეს დააყრევინეს ყარაულებმა ქურდებს და დაუბრუნეს პატრონს.

კობახიძეებში ცხენი არავის დაჰკარგვია! დაეკარგა ამათ სტუმარს ი. გაბმიელს და რომ ვინცა არ დაგემალათ აღნიშნავდით თქვენს წერილში, რომ ამ ცხენის ქურდები პოლიციამ აღმოაჩინა, ესენი არიან სანდრო ბუქულაშვილი და სავი თოყმაშვილი, რომელთაც გაუყიდნიათ ცხენი ქალაქში ჩარჩ სარქისათვის; რომ ამათ თავიანთი დანაშაული აღვიარეს და სამართალში არიან მიცემულნი.

გორელ მედროგის გაძარცვაზედ გვისაყვედურებს ბ-ნი მეჯუღელი!.. რას გვემართლებით, განა არ იცით, რომ თქვენგან ათვალწუნებულმა ბოქაულმა დიდი შრომა მიიღო ამ ბოროტ-მოქმედების ასასსნელად; რომ უკვე ნაპოვნია მედროგის ცხენები; რომ დამნაშავეთ აღმოჩნდნენ თვრამეტი ოსი, რომელნიც დასახელებულნი არიან და ამათგან რვა კაცმა დანაშაულობა აღიარა და დაპატიმრებულ არიან გორის გამომძიებლისაგან.

დასასრულ, ვსთხოვ ა. მეჯუღელს ამიხსნას, რისთვის დასჭირებია, რომ ჩემის მოვალეობის ასრულებას დაარქვა „ასეირნ-ჩასეირნება“; კარგს ინებებდა გამოერკვია პირადათ მე ვარ ათვალწუნებული მისგან, თუ ჩემი თანამდებობას უყურებს ზიზღით?

მეჯვრისხევის უჩასტკის ბოქაული
ა. ჩიკოიძე

მეჯვრისხევი.
25 ივნისს 1894 წ.

## შემოწირულებანი

21 აპრილს ქ-ნ ნინო გუგუშვილისაგან „ივერიის“ რედაქციას მოუვიდა სალიტერატურო ფონდის სასარგებლოდ ყაგიზმანში შეკრებილი 25 მანეთი. ეს ფული გაზეთის მე-83 №-ში დაბეჭდილ სალიტერატურო ფონდის ჯამშია მოხსენებული და დანიშნულებისამებრაც არის გადაცემული, მხოლოდ შეცდომით ვერ გამოვუცხადეთ, ვისგანაც იყო გამოგზავნილი და არც შემომწირველთა ნუსხა დაგვიბეჭდია. შემომწირველნი არიან:

ო. გუბელაძისა 1 მ., ს. გუბელაძის ასული 50 კ., რ. ჩიკოიძე 3 მ., ე. მუსხელაშვილი 2 მ., ნ. ანდრონიკოვი 1 მ, ზ. ანდრონიკოვი 10 კ. გ. ანდრონიკოვი 10 კ., გ. ანდრონიკოვი 1 მ., ჯალალოვი 1 მ., ა. ჩიქოვანი 2 მ., ე. გერსამია 1 მ., ე. მასლო 1 მ., კ. არეშევი 1 მ., ტ. მენთაშაშვილი 1 მ., მ. შახნაზაროვი 1 მ., ნ. მამიანცი 40 კ., ს. ჩხეიძე 1 მ., ვ. ჩხეიძე 1 მ., კ. კალანდარიშვილი 1 მ., პ. ბრაილოვსკი 2 მ., ნ. გუგუშვილისა 3 მ.

წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების ბიბლიოთეკას შემოსწირეს: 1) მღვ. დ. დეკანოზოვმა ხელთნაწერი „ზატიკი“. 2) მღვ. ვ. კასრაძემ „კონდაკი“, დაბეჭდილი ტფილისში 1710 წ. 3) მღვ. ი. გვარამაძემ ორი ვერცხლის ძველი ფული და ექვსი სპილენძის ძველი ფული. 4) გერასიმე ნადარეიშვილმა ბერძნული წიგნი სახელად „პროსკინიტარიონ“. 5) ბ-ნმა აბდულ ეფენდი მიქელაძემ ხელთნაწერი კარაბადინი და სპილენძის გულსაკიდი. 6) იაგორ ასლამაზოვმა ერთი ვერცხლის ძველი ფული. 7) მარიამ ნადირაძემ ერთი სპილენძის ძველი ფული. 8) და ოთარიძემ ხუთი წვრილი ძველი ვერცხლის ფული.

საზოგადოების გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

## დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ოდესა**, 28 ივნისი. გუშინ, ივნისის 27-ს, ოდესის ახლოს რუსეთის ნავოსნობისა და ვაჭრობის გემი „ვლადიმირი“ დაიღუპა. შავს ზღვაზედ ნისლი იდგა და «ვლადიმირის» კაპიტანს ვერ დაუნახნია მომავალი იტალიის გემი, რომელიც ვლადიმირს დასჯახებია და გვერდი ჩაუმტვრევია. „ვლადიმირში“ მაშინვე წყალს დენა დაუწყია და მალე დაუძირავს კიდეც. სულ 40-მდე კაცი დაიღუპა. მოგზაურთა შორის ტფილელებიც იყვნენ. რამდენი მოგზაურის დახსნაც იყო შესაძლებელი 4 ნავით, გაიყვანეს ზღვის ნაპირას. სხვათა შორის გადარჩა ტფილისის სასამართლოს პალატის ბრალმდებელი ბ-ნი სმიტტენი, ებრაელის, გვარად კაცის, ოჯახობა, ბ-ნი ზუბალაშვილი და სხვანი. დაწვრილებით ამ უბედურების ამბავს წერილით გაცნობებთ.

28 ივნისი

**პარიზი.** პერიეს თავმჯდომარეობით მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი ანარხისტების წინააღმდეგ ოთხ მუხლად არის განაწილებული. პირველს მუხლში აღნიშნულია ისეთი შემთხვევანი, რომლითაც ჟურნალ-გაზეთები სამართალში იქმნებიან მიცემულნი; მეორე მუხლი სდევნის საანარხისტო აზრების მქადაგებელთ; მესამე მუხლში ნათქვამია, რომ ვისაც სამართლის მიერ ერთის წლითა და მეტით დაპატიმრება ექმნება მისჯილი, ისინი მარტოდ უნდა იქმნენ დამწყვდეულნი და სასჯელის შემდეგ უეჭველად განიდევნენ; მეორე მუხლის ძალით საპატიმროში იქმნებიან დაპატიმრებულნი ისინი, რომელნიც ანარხისტთა სასამართლოში წარმოებულს საქმეს გიმოაქვეყნებენ.

სამხედრო სასამართლომ გაამართლა გენერალი ედონი, რომელმაც გაუფრთხილებლობით ჯარის დათვალიერების დროს პორუჩიკი შიფმახერი მოჰკლა.

**ლონდონი.** სეულიდგან იუწყებიან, რომ ჩემულპონოში კიდევ მოვიდა იაპონიის რაზმი, 1000 კაცისაგან შემდგარი; იაპონიის ელჩმა 3 ივნისს ახალნი პირობანი მოითხოვა.

**ბერლინი.** საკავშირო საბჭომ უარჰყო წინადადება იეზუიტთა წინააღმდეგ არსებულის კანონის გაუქმების შესახებ.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ივნისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,46 | 7,48 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | 151 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 249¹/₄ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101¹/₂ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | 100¹/₂ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | 100¹/₂ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 99¹/₂ | — ,, | — ,, |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ჟ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11¹/₂—12¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12¹/₂—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ
ФАБРИКИ
БРОКАРЪ и К°
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.


Дозволено цензурою Тифлисъ, 28-го Іюня 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.